"ქართული ოცნების შემომწირველების რუსული ბიზნესები"

ნაწილი II

ორგანიზაცია, სამოქალაქო იდეამ, ამა წლის 16 ოქტომბერს წარმოგიდგინათ ფაქტები მმართველი პარტიის, რუსული ხაზინის შესახებ. კერძოდ, ჩვენს ანგარიშში ნათლად გამოჩნდა, რომ ქართული ოცნების მსხვილი შემომწირველების უმრავლესობის უკან რუსეთის ბაზარი და რუსული ფული დგას. მათი ინტერესები ორგანულად არის დაკავშირებული მოსკოვთან და შესაბამისად, მეტი სარგებლის მიღებისთვის სწორედ რუსეთზე დამოკიდებულების ზრდას და გაძლიერებას უჭერენ მხარს. ჩვენ ფაქტებით გაჩვენეთ თუ რამ გამოიწვია ქართული ღვინის ექსპორტის რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების 73,5 პროცენტამდე ზრდა, რაც ერთმნიშვნელოვნად ისეთი სახიფათო ზღვარია, რომელიც კრემლის მხრიდან ბაზრის საკუთარი პოლიტიკური ამოცანებისთვის გამოყენების ნებისმიერი შემდეგი რაუნდის დროს, ქართულ ეკონომიკას მორიგი კრიზისითა და ჩამოშლით ემუქრება.

მთავარი მავნებლობა, რომელიც ქართული ოცნების მმართველობის ბოლო წლებში განხორციელდა, ბაზრების დივერსიფიცირების ნაცვლად, რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების მუდმივი ზრდაა რაც სწორედ ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრების (ალექსანდრე ივანიშვილი, უჩა მამაცაშვილი და სხვები) და მათი ბიზნეს პარტნიორი შემომწირველების ხელით კეთდებოდა.

დღეს, ამ კვლევის მეორე ნაწილი უნდა წარმოგიდგინოთ, სადაც კიდევ უფრო ტრაგიკულ შემთხვევებზე მოგიყვებით. კერძოდ, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით იხილავთ ოცნების იმ შემომწირველების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც არა უბრალოდ ვაჭრობენ ან სხვაგვარ ეკონომიკურ-პოლიტიკურ კავშირებში არიან რუსეთთან, არამედ უკრაინაში **„ომის საერთაშორისო სპონსორების სიაში“** მოხვდნენ და შესაბამისად სანქციების ქვეშ არიან. სწორედ ამ სანქციების სიაში არიან **უჩა მამაცაშვილი** და მისი ბიზნეს პარტნიორი, რუსეთის მოქალაქე **ვახტანგ კარიჭაშვილი**. კიევის მიერ სანქცირებულია „ბოლერო და კომპანიაც“ რომლის მფლობელიც ბატონი კარიჭაშვილია და როგორც შემდგომში ვნახავთ სწორედ ეს კომპანია, მისი მფლობელები და სხვადასხვა დროს მისი დირექტორები ოცნების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილშემომწირველთა ჯგუფს წარმოადგენენ. სწორედ „ბოლერომ“ შეიძინა რამდენიმე წლის წინ სახელმწიფო კომპანია „გრუზვინპრომი“, რომელიც გლეხებისგან ჩაბარებული ყურძნის სახელმწიფო სუბსიდიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოსარგებლეა. “ბოლეროსთან” დაკავშირებულმა კომპანიებმა სახელმწიფოსგან სუბსიდირებითა და არაერთ ტენდერში გამარჯვებით 22,014,813 ლარი მიიღეს”- წერდა ქართული სააგენტო აქცენტნიუსი ჯერ კიდე 2022 წელს. დღევანდელი მდგომარეობით ეს რიცხვი კიდევ უფრო გაზრდილია.

“ბოლერო და კომპანია”, “გრუზვინპრომი” და GVMT group, რომლებიც ბატონი კარიჭაშვილის საკუთრებაშია, ჯამურად რუსეთში ქართული ღვინის ყველაზე დიდი ექსპორტიორები არიან. ოფიციალური უკრაინის პოზიციის შესაბამისად „კომპანიების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს შპს *Bolero & Company*, აგრძელებს რუსეთის ეკონომიკის აქტიურ მხარდაჭერას და, შესაბამისად, აფინანსებს აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ. კომპანიის მენეჯმენტს არ ჰქონია რაიმე მცდელობა დაეგმო რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ”. სხვა ფაქტორებთან ერთად სწორედ ამ საფუძვლით განხორციელდა ქართული კომპანიების სანქცირებულთა სიაში შეყვანა. სხვა საფუძველი კი მათი პარტნიორები არიან რუსეთის ფედერაციის მხრიდან. მაგალითად, ღია წყაროებით ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესაბამისად, ბოლეროს რუსული პარტნიორი კომპანია შპს „ლუდინგ-თრეიდი“ (TIN 7705444495) ეწევა ქართული პროდუქციის უკანონო რეალიზაციას უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მათი კიდევ ერთი რუსი პარტნიორი კომპანია შპს Logistics Alternative (TIN 2311147190) დაკავშირებულია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის სიძესთან ალექსანდრე ვინოკუროვთან და სხვა.

კიევის მიერ სანქცირებულია ბიძინა ივანიშვილის ძმა **ალექსანდრე ივანიშვილი და მისი მეუღლეც.** შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ მათი ერთ-ერთი ბიზნეს პარტნიორი ირაკლი ბექაური (ჩვენი კვლევის ინტერესის სუბიექტი) სახელისუფლებო მედიის სასურველი რესპოდენტია და სხვა საკითხებთან ერთად, ხშირად პოზიციონირებს სანქციების თემაზე. ბიზნესმენი დარწმუნებულია, რომ „რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებთან შეერთების შემთხვევაში, ახლო პერსპექტივაში საქართველოს ეკონომიკა ძლიერ დაზარალდება.“ სავარაუდოდ, როდესაც საქართველოს ახსენებდა, საკუთარი და ივანიშვილის ოჯახის ბიზნესებს გულისხმობდა.

ალექსანდრე ივანიშვილის ბიზნესი რუსეთთან დაკავშირებულ სხვა სკანდალშიც ფიგურირებს. კერძოდ მისი კომპანია შპს „ეფ ენდ კომპანი“ საქართველოში რუსული სანქცირებული დიზელის შემოტანას ლობირებს. საწვავი, რომელშიც გოგირდის შემცველობა დარღვეულია, განსაკუთრებით საშიშის ადამიანის ჯანმრთელობისთვის. გამონაბოლქვი უამრავ მათ შორის ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს და გარემოს აბინძურებს.

მაშ ასე, ჩვენი კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი ფიგურები არიან:

- **უჩა მამაცაშვილი** - ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრი, მისი დეიდაშვილია.
- რუსეთის მოქალაქე **ვახტანგ კარიჭაშვილი**, უჩა მამაცაშვილის ბიზნეს პარტნიორი და მისი მთავარი დამაკავშირებელი რგოლია მოსკოვთან და რუსულ ბაზართან.
- რუსეთის მოქალაქე **გიორგი ღამბაშიძე,** რომელიც გარდა იმისა რომ, ამ ჯგუფის ბიზნეს პარტნიორია, იმავდროულად ქართული ოცნების პოლიტიკური გუნდის წევრი და მათი საჯარო სახე გახდა. გიორგი ღამბაშიძე 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქართული ოცნების სიაშია.



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18011164, 02/02/2018 12:36:19

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს კ და ქართული სპირტი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	415099967
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	12/06/2017
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა), შიდა №337

მესაკუთრე	**წილი**	**წილის მმართველი**
72 8460824, 75 4605847, , გიორგი ღამბაშიძე, რუსეთის ფედერაცია	20%	
75 2557518, 71 3151496, 59001016392, ვახტანგ კარიჭაშვილი, რუსეთის ფედერაცია	80%	

- **ირაკლი ბექაური,** ერთგვარი ხიდია მამაცაშვილის ბიზნეს ინტერესებისთვის მრავალი მიმართულებით. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ბიზნეს ინტერესები კახეთის ტრადიციული მეღვინეობის კომპანიებთან, რაც ერთგვარად სრულად კრავს ქართული ღვინის დიდი კომპანიების წრეს და პრაქტიკულად სრულად, პირდაპირ ან არაპირდაპირ უჩა მამაცაშვილის კონტროლის და ინტერესის ქვეშ აქცევს.
- **გიორგი დამენია**, ერთი მხრივ კარიჭაშვილ-ბექაურის პარტნიორი, ხოლო შპს ქართულ სპირტში კომპანიის დირექტორია, ხოლო მეორე, მხრივ შპს ტორნადო+ - ში ივანიშვილის ძმის ალექსანდრე ივანიშვილის პარტნიორია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18011164, 02/02/2018 12:36:19

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს კ და ქართული სპირტი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	415099967
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	12/06/2017
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა), შიდა №337

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

გენერალური დირექტორი - 01010000571, ირაკლი ბექაური

დირექტორი - 01007008589, გიორგი დამენია

ბატონი კარიჭაშვილი, უჩა მამაცაშვილთან ერთად ფლობს კომპანიას მელიქიშვილი ინნ-ს რომლის სასტუმრო „აფიშაც“ სულ რამდენიმე დღის წინ პრემიერმა და ქალაქის მერმა საზეიმოდ გახსნეს დედაქალაქის ცენტრში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23094390, 04/07/2023 10:19:01

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მელიქიშვილი ინნ
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405463546
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	28/05/2021
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მარშალ გელოვანის გამზ., N 13, სართული 10

ეს უკანასკნელი ერთ- ერთი იყო წინასაარჩევნოდ გახნილი ობიექტების ჯაჭვში, რომელიც ბუნებრივია ხელისუფლებამ მიითვალა გაკეთებულ პროექტად.


პარტნიორები

კლასის ტიპი: /კლასის გარეშე/ , რაოდენობა:100, ნომინალური ღირებულება:არ არის განსაზღვრული

მესაკუთრე	რაოდენობა	წილი	წილის მმართველი
ვახტანგ კარიჭაშვილი, 59001016392 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, რუსეთის ფედერაცია/	50	50%	
უჩა მამაცაშვილი, 01717062528 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, რუსეთის ფედერაცია/	50	50%	

თუმცა მელიქიშვილი ინნ მათი ერთადერთი ერთობლივი ბიზნეს პროექტი არ არის. კარიჭაშვილი, უჩა მამაცაშვილთან ერთად ფლობს ბრიტანეთში დაფუძნებულ კომპანიას – ***GWP Wines and spirits limited***. ორიოდე წლის წინ ქართულ მედიაში აქტიურად ვრცელდებოდა ცნობები აღნიშნულ კომპანიის დამფუძნებლების კრემლთან კავშირების შესახებ.

Companies House

CS01 (ef)

Confirmation Statement

Company Name: **GWP Wines and Spirits Limited**
Company Number: **12479836**

Received for filing in Electronic Format on the: **10/11/2021**

XAGY9QTE

Company Name: **GWP Wines and Spirits Limited**

Company Number: **12479836**

Confirmation Statement date: **06/11/2021**


Full details of Shareholders

The details below relate to individuals/corporate bodies that were shareholders during the review period or that had ceased to be shareholders since the date of the previous confirmation statement.

Shareholder information for a non-traded company as at the confirmation statement date is shown below

Shareholding 1: **100 transferred on 2021-11-05**
100 transferred on 2021-11-05
0 ORDINARY shares held as at the date of this confirmation statement
Name: **ZAURBEK BUGOV**

Shareholding 2: **500 ORDINARY shares held as at the date of this confirmation statement**
Name: **VAKHTANG KARICHASHVILI**

Shareholding 3: **500 ORDINARY shares held as at the date of this confirmation statement**
Name: **UCHA MAMATSASHVILI**

კარიჭაშვილს საქართველოში სხვა მრავალი ბიზნესი აქვს და მათი დიდი ნაწილი ოცნების შემომწირველთა შორის არის, ან როგორც კომპანია, ან წარმოდგენილი მისი თანამოწილეების თუ დირექტორების სახით.

ასეთებია, მაგალითად ‘ჯეოსპირტპრომ, ალიანსი ვკ, GVMT Group, მილადა ინტერნეიშენელ, სასტუმრო ივერია ინნ, როქ ლოჯისთიქსი, საქართველოს სპირტსახდელების გაერთიანება, ქართული სპირტი და სხვა.

ვახტანგ კარიჭაშვილის მეგობარი და ბიზნეს პარტნიორია **გიორგი დამენია.** მათ ერთობლივი ინტერტესები მრავალ კომპანიაში აქვთ, მათ შორისაა, კომპანია ქართული სპირტი, შპს ჯიესპი გრუპი და სხვა. ბატონი დამენია იმავდროულად ალექსანდრე ივანიშვილის ბიზნეს პარტნიორიც არის კომპანია ტორნადო+-ში, რომელიც თავისთავად პარტია ქართული ოცნებისთვის შემოწირულობების მიღების მნიშვნელოვანი სუბიექტია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონანერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23080887, 23/06/2023 14:26:47

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ტორნადო +
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	211338382
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	5ა/4-1077; 27/03/1997
მარეგისტრირებელი ორგანო:	საბურთალოს რ-ნის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ფიზკულტურის და გოთუას ქუჩების გადაკვეთაზე



პარტნიორები

კლასის ტიპი: /კლასის გარეშე/ , რაოდენობა:100, ნომინალური ღირებულება:არ არის განსაზღვრული

მესაკუთრე	რაოდენობა	წილი	წილის მმართველი
ვახტანგ კარიჭაშვილი, 59001016392 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, რუსეთის ფედერაცია/	50	50%	
უჩა მამაცაშვილი, 01717062528 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, რუსეთის ფედერაცია/	50	50%	

კარიჭაშვილი, დამენია, ბექაური და ღამბაშიძე ერთობლივად ფლობენ და მართავენ შპს ჯიესპი ჯგუფსა და შპს კ და ქართულ სპირტს. უმეტეს შემთხვევებში რუსეთის მოქალაქე კარიჭაშვილი და ღამბაშიძე კომპანიების მესაკუთრეები არიან, ხოლო ბექაური და დამენია დირექტორებად გვევლინებიან სხვადასხვა კომბინაციით. მაგალითად, კარიჭაშვილ-ღამბაშიძე მესაკუთრეები არიან ხოლო ბექაური დირექტორია კომპანია “საქართველოს სპირსახდელების გაერთიანებაში”, ხოლო შპს “ჯეოსპირტპრომში” იმავე მესაკუთრეებთან დირექტორია დამენია და სხვა.

ქვემოთ წარმოგიდგენთ უჩა მამაცაშვილთან დაკავშირებული ამ პირების და მათ ბიზნესებთან დაკავშირებულთა (მეწილეები, დირექტორები) შემოწირულებების ძალიან შთამბეჭდავ სიას, რომელიც **1,777,767** ლარს შეადგენს. ამასთანავე, ალბათ ხვდებით რომ ეს სია არ არის სრული და ყოვლისმომცველი და ოცნებისთვის შეწირული თანხები მნიშვნელოვნად მეტია მათი ოჯახის წევრებისა და სხვა დაკავშირებული პირების საშუალებით, თუმცა ვფიქრობთ წარმოდგენილი მონაცემი საკმარისად შთამბეჭდავია წარმოდგენის შესაქმნელად.

1.ქართული ოცნების შემომწირველი - **უჩა მამაცაშვილი,** ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი. შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **50 000 ლარი;**

2. ქართული ოცნების შემომწირველი - **ირაკლი ბექაური**, ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის უჩა მამაცაშვილის ბიზნეს პარტნიორი, იმავდროულად მათი დამაკავშირებელი ასკანელი ძმების ბიზნეს ჯგუფთან. შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **267 000 ლარი**;

3. ქართული ოცნების შემომწირველი - **გიორგი დამენია**, ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის უჩა მამაცაშვილის და კარიჭაშვილი ბიზნეს პარტნიორი მრავლობით კომპანიაში. შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- 120 000 ლარი;

4. ქართული ოცნების შემომწირველი (სალომე ზურაბიშვილის კამპანია) - **შპს ტორნადო+**, ბიძინა ივანიშვილის ძმის ალექსანდრე ივანიშვილის და გიორგი დამენიას კომპანია. შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **85 000 ლარი;**

5. ქართული ოცნების შემომწირველი - **თამაზი ხარაიძე**, შპს ტორნადო+-ის, პარტნიორი. შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **20 000 ლარი;**

6. ქართული ოცნების შემომწირველი - ალექსანდრე ივანიშვილი შპს ტორნადო+-ის, პარტნიორი. შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **440 767 ლარი;**

7. ქართული ოცნების შემომწირველი - **შპს Bolero & Company (404431726) ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი. შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- 120** 000 ლარი;

8. ქართული ოცნების შემომწირველი (სალომე ზურაბიშვილის კამპანია) - **შპს მილადა ინტერნეშინელ** (404431726). შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- 100 000 ლარი;

9. ქართული ოცნების შემომწირველი - **დავით ბოჭორიშვილი**, შპს ბოლეროს დირექტორი. შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **80 000 ლარი**;

10. ქართული ოცნების შემომწირველი (სალომე ზურაბიშვილის კამპანია) - **პაატა კოკაია**. შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **55 000 ლარი;**

11. ქართული ოცნების შემომწირველი - **მამუკა ფოთოლაშვილი,** შპს ბოლეროს და შპს გრუზვინპრომის დირექტორი. შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **50 000 ლარი;**

12. ქართული ოცნების შემომწირველი - **ბესიკი ვაშაკაშვილი,** შპს ჯეოსპირტპრომის შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **40 000 ლარი;**

13. ქართული ოცნების შემომწირველი - **გიორგი ბოლოთაური**, შპს GVMT group შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **16 000 ლარი;**

14. ქართული ოცნების შემომწირველი - **თორნიკე მახათაძე**, შპს ბოლეროს დირექტორი. შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **15 000 ლარი;**

15. ქართული ოცნების შემომწირველი - **ლერი რაზმაძე**, შპს GVMT group შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **9 000 ლარი**;

16. ქართული ოცნების შემომწირველი - **ჯიმშერ ჩხაიძე**, ირაკლი ბექაურის ბიზნეს პარტნიორი. შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **10 000 ლარი;**

17. ქართული ოცნების შემომწირველი - **ზურაბ ჩხაიძე.** შემოწირულობა ქართული ოცნებისთვის -- **300 000 ლარი**;

კიდევ უფრო მეტი ქართული ოცნების სხვა შემომწირველების რუსული კავშირების შესახებ:

მმართველი პარტიის შემომწირველებს შორის გვხვდება რუსეთის კიდევ ერთ მოქალაქე თემურ ანჩაბაძესთან დაკავშირებული პირები. კერძოდ, შპს ინფრა კონსთრაქშენ მიქსორის დამფუძნებელი **აკაკი ჯიქია (შემოწირულობა 155,000 ლარი)** ხოლო მისი ბიზნეს პარტნიორი შპს ქისთოუნ ინვესთმენთი და მისი დამფუძნებელი თემურ 6 ანჩაბაძე იყო. რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენი ჩვენთვის საინტერესო არის იმდენად რამდენად ღია წყაროებზე დაყრდნობით ცნობილია რომ მას და მის რუსულ კომპანია Logistics and Construction of European Gas Pipelines (LSEG) მჭიდრო კავშირები აქვს კრემლთან განსაკუთრებით დაახლოებულ ბიზნესებთან, რომელთა შორის ყველაზე შემაშფოთებელია 20 წლიანი სტრატეგიული თანამშრომლობა „გაზპრომთან“. შესაბამისად, გასაკვირი არ არის რომ კომპანიის ვებგვერდის მიხედვით, ვიგებთ რომ კომპანია მიიღებს მონაწილეობას South Stream პროექტში, რათა „გაზარდოს რუსული ბუნებრივი აირის ევროპაში მიწოდება და დამატებითი გაზის ტრანსპორტირება ცენტრალურ და სამხრეთ რუსეთის რეგიონებში“. LSEG სამხრეთის დინების ნავთობსადენის მშენებლობაში ოფიციალურად იყო ჩართული. აქვე დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ შპს მიქსორის ერთ-ერთი მეწილე Keystone Investments-ის მფლობელებიდან გიორგი პერტაია იყო. იგი ამჟამად საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტია, ხოლო წარსულში **ბანკი „ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი** იყო.

თემურ ანჩაბაძის და რუსეთის კიდევ ერთი მოქალაქის გიზო კვარაცხელიას, კიდევ ერთი ბიზნეს პარტნიორია **გივი კუბლაშვილი** (შპს ქისთოუნ ქონსთრაქშენ თანადამფუძნებელი), რომელიც იმავდროულად ქართული ოცნების შემომწირველია. მისი კონტრიბუცია მმართველი პარტიის ყულაბაში **180,000 ლარია.** გივი კუბლაშვილი მანამდე ივანიშვილის კომპანიის „ელიტა-ბურჯის“ დირექტორის მოადგილე, ხოლო დავით ნარმანიას მერობის პერიოდში თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი იყო.

გიორგი პერტაია ერთადერთი არ არის ვინც ბანკი „ქართუს“ შემადგენლობიდან ქართული ოცნების შემომწირველებთან კავშირში გვხვდება. სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრებსაც მნიშვნელოვანი შემოწირულობა აქვთ გაკეთებული, როგორც ქართული ოცნების ასევე სალომე ზურაბიშვილის 2018 წლის კამპანიისთვის. მათ შორის ქალბატონი ნატო ხაინდრავა სიდიდით, ქართული ოცნების მეორე ყველაზე სოლიდური შემომწირველია.

- ნატო ხაინდრავა **447,600 ლარი**
- თეა ჯოხაძე **356,000 ლარი**
- თემურ კობახიძე **108,500 ლარი**
- ეთერ დემინაშვილი **20,000 ლარი**
- ზაზა ვერძეული **9,000 ლარი**

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გარდა, ჩვენი კვლევის ამოცანებისთვის მნიშვნელოვანია სხვა ხაზი რომელიც ქართუ ბანკთან დაკავშირებული პირების რუსულ კავშირებსაც აჩვენებს. ერთ-ერთი ასეთი ფიგურაა **ალა კახნიაური.** ქალბატონი კახნიაური ბანკი ქართუს და ასევე დიდი ხნის მანძილზე ბიძინა ივანიშვილის პირადი ადვოკატი და მასთან დაახლოებული პირი იყო. წლების მანძილზე იგი „ქართუ“ ჯგუფის იურიდიულ 7 სამსახურს ხელმძღვანელობდა. მისი ბიზნეს პარტნიორი **გიორგი ჭყონია**, ასევე ოცნების უმსხვილესი შემომწირველია და ნატო ხაინდრავას შემდეგ მესამე ადგილს იკავებს. გარდა იმისა, რომ კომპანია შპს „კრიპტომ ჰოუმსა” და შპს „კრიპტო ჰოუმ მენეჯმენტში” ალა კახნიაურის ბიზნეს პარტნიორია, ჭყონია ასევე სს **“დაზღვევის კომპანია ქართუს”** საბჭოს წევრია. ქართუს სადაზღვევო კომპანიის გენერალური დირექტორი კი ბიძინა ივანიშვილის კიდევ ერთი დეიდაშვილი, **არჩილ მამაცაშვილია**. ვფიქრობ, დამატებით დაზუსტებას არ საჭიროებს მისი კავშირი მმართველ პარტიასა და თავად ბიძინა ივანიშვილთან.

ზემოთ ნახსენებ შპს „კრიპტო ჰოუმ მენეჯმენტში” გიორგი ჭყონიას პარტნიორები ალა კახნიაურთან ერთად რუსეთის მოქალაქე მიხაილ მარტინოვი და ვიქტორია რომანოვა არიან. ანალოგიური მდგომარეობაა შპს კრიპტო ჰოუმშიც. ორივე კომპანიაში დირექტორებიც რუსეთის მოქალაქეები არიან. რუსეთის მოქალაქეები ფიგურირებენ ალა კახნიაურის საკუთრებაში მყოფ კიდევ ერთ კომპანიაში - შპს ანლიმ მოტორსში.

გიორგი ჭყონია ქართული ოცნების 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების სიაშია.

- ალა კახნიაური **85,000 ლარი**
- გიორგი ჭყონია **460,000 ლარი**
- ჯემალ ჭყონია **104,000 ლარი**
- ლევან ჭყონია **10,000 ლარი**
- სულიკო ჭყონია **220,000 ლარი**
- ჯიმშერ ზოიძე (გიორგი ჭყონიას წილის მმართველი შპს კოხი ჯგუფში) **220,000 ლარი**

კიდევ ერთი შემომწირველი **გიორგი ლომთათიძე** შპს PLAY 4 WIN 445409040 100%-იანი დამფუძნებელია მარი ჯგუფის, რომლის 100%-იანი დამფუძნებელია ინგა არშბა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. ინგა არშბა, რუსეთის სახელმწიფო სათათაბიროს დეპუტატ ოთარ არშბას ქალიშვილია. ეთნიკურად აფხაზი ოთარ არშბა აფხაზეთის პირველ დე ფაქტო პრეზიდენტ ვლადისლავ არძინბას ყოფილი მრჩეველია. გიორგი ლომთათიძე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია და გასაკვირი არ არის, რომ მის ბიზნეს პარტნიორს ბათუმში სასტუმროების ბიზნესი აქვს.